

საბა ჟიჟილაშვილი ¹, ნანა მებონია ², ირაკლი მჭედლიშვილი ¹,
ანა ჟიჟილაშვილი ¹, თინათინ გაბრიჩიძე ¹

კუჭის კიბოს ავადობის სქესობრივი თავისებურებები საქართველოში, 2015-2022

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ²დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.06.17>

SABA ZHIZHILASHVILI ¹, NANA MEBONIA ^{1,2}, IRAKLI MCHEDLISHVILI ¹,
ANA ZHIZHILASHVILI ¹, TINATIN GABRICHIDZE ¹

SEX DIFFERENCIES IN PATIENTS WITH GASTRIC CANCER IN GEORGIA, 2015-2022

¹Tbilisi State Medical University, Georgia; ²National Center for Disease Control and Public Health, Georgia

SUMMARY

The study **aimed** to estimate the sex-specific characteristics of invasive gastric cancer morbidity and mortality in patients diagnosed in Georgia between 2015 and 2022. We conducted cancer population registry-based study. Between 2015 and 2022, the age-standardized incidence rate (ASIR) of gastric cancer in Georgia decreased from 12.0 to 11.5 in men and from 5.9 to 4.3 in women. However, across all calendar years included in the analysis, ASIR was approximately twice as high in men as in women. During this period, the age-standardized mortality rate decreased from 10.5 to 7.3 in men and from 5.8 to 3.0 in women. No trend of stable reduction in morbidity and mortality was observed throughout the observation period. The univariate Cox regression analysis confirmed that men diagnosed with gastric cancer have a slightly higher risk of mortality than women, although multivariate analysis did not confirm that patient gender is an independent determinant of mortality. During planning preventive activities for gastric cancer, the disease gender characteristics should be considered.

Keywords: Gastric Cancer, Sex Differences, Georgia

გლობალურად კუჭის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები უფრო მაღალია კაცებში, ვიდრე ქალებში, გარდა 15-29 წლის ასაკში სიკვდილიანობის მაჩვენებლებისა [10]. კაცებში კუჭის კიბო ონკოლოგიურ დაავადებათა სიკვდილის წამყვანი მიზეზია სამხრეთ-ცენტრალური აზიის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ირანში, ავღანეთში, თურქმენეთსა და ყირგიზეთში [1].

ზედამხედველობის, ეპიდემიოლოგიისა და საბოლოო შედეგების (SEER) 17 რეგისტრის 1973-2013 წლების მონაცემთა ბაზის კვლევაში ჩართული 96501 პაციენტიდან, 34862 (36.2%) იყო ქალი. კუჭის კიბოთი დაავადებული ქალებისთვის საერთო და კიბო-სპეციფიკური გადარჩენა მნიშვნელოვნად მაღალი იყო კაცებთან შედარებით ($p < 0.001$). კაცებში დაბალი გადარჩენის მაჩვენებელი უკავშირდებოდა დაგვიანებულ სტადიას, დიდი ზომის სიმსივნეს და მაღალდიფერენცირებულ კიბოს გამოვლენის მომენტში [5].

კვლევის მიზანს შეადგენდა კუჭის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის სქესობრივი თავისებურებების შეფასება 2015-2022 წლებში საქართველოში დიაგნოსტირებულ პაციენტებში.

კვლევის მეთოდები. პაციენტთა მონაცემები, რომელთაც 2015-2022 წლებში დაუდგინდათ ინვაზიური კუჭის კიბოს დიაგნოზი, ანალიზისთვის ამოვიღეთ კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემთა ბაზიდან. სქესის მიხედვით სტრატეფიცირებული ასაკ-სტანდარტიზებული ავადობისა (ASIR) და სიკვდილიანობის (ASMR) მაჩვენებლების 100000 მოსახლეზე გამოსათვლელად გამოვიყენეთ სტანდარტიზაციის პირდაპირი მეთოდი. მაჩვენებლების სტანდარტიზაცია მოხდა მსოფლიო (WHO 2000-2025) სტანდარტული მოსახლეობაზე გათვლით. სიკვდილიანობის რისკების თანაფარდობა (HR, Hazard Ratio) სქესის მიხედვით შეფასდა ბი-ვარიაციული კოქსის რეგრესიული მოდელის გამოყენებით. სტატისტიკური დამატერებლობის შესაფასებლად

გამოყენებული იყო 95%-იანი სარწმუნობის ინტერვალი (95% სი). მონაცემები გაანალიზდა სტატისტიკური პაკეტი SPSS-ის 23-ე ვერსიის გამოყენებით.

მიღებული შედეგები და მისი განსჯა. 2015 – 2022 წლებში საქართველოში კუჭის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი (ASIR) კაცებში შემცირდა 12.0-დან 11.5-მდე, ხოლო ქალებში - 5.9-დან 4.3-მდე. ამასთან, ანალიზში ჩართული ყველა კალენდარული წლის განმავლობაში ASIR კაცებში დაახლოებით ორჯერ მაღალი იყო, ვიდრე ქალებში. აღნიშნულ პერიოდში სიკვდილიანობის ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა ორივე სქესის წარმომადგენლებში, ის კაცებში 10.5-დან 7.3-მდე შემცირდა, ქალებში კი 5.8-დან 3.0-მდე, მცირედი მატებით 2020 წელს. ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 2022 წელს ნაკლები იყო 2015 წლის მაჩვენებლებთან შედარებით ორივე სქესის წარმომადგენლებში, თუმცა დაკვირვების მთელ პერიოდში (2015-2022) მაჩვენებელთა სტაბილური კლების ტენდენცია არ გამოვლენილა.

უნივარსიციული კოქსის რეგრესიული მეთოდით დასტურდება, რომ კუჭის კიბოს დიაგნოზის მქონე კაცებში სიკვდილიანობის რისკი რამდენადმე მაღალია, ვიდრე ქალებში, თუმცა განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ არის (HR=1.083; 95% სი = 0.99-1.18). მომდევნო ეტაპზე ჩატარებულმა მულტივარიაციულმა ანალიზმა უჩვენა, რომ პაციენტის სქესი სიკვდილიანობის განმსაზღვრელ დამოუკიდებელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

ქვეყანაში გამოვლენილი კუჭის კიბოს სქესობრივი თავისებურებები გლობალურ მახასიათებლებს შეესაბამება. 2020 წელს, მსოფლიოში რეგისტრირებული კუჭის კიბოს ახალი შემთხვევების 66% აღირიცხა კაცებში [2,8]. კუჭის კიბოს ავადობა დაახლოებით ორ-სამჯერ დაბალი იყო ქალებში, ვიდრე კაცებში სხვადასხვა ქვეყნებში [3,9]. ცხოვრების წესის მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მოწვეასთან და კვებით თავისებურებებთან, მიჩნეულია, რომ ხელს უწყობს კუჭის კიბოს სქესობრივ განსხვავებებს [6]. საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება, რაც ჯანსაღი კვების მნიშვნელოვანი კომპონენტია, თანაბრად დაბალია ორივე სქესში, მოსახლეობის მხოლოდ 37.3% აკმაყოფილებს ჯანმო-ს რეკომენდაციას დღეში სულ ცოტა 400 გრამი ხილისა და ბოსტნეულის მიღების შესახებ [7]; მაგრამ მწველი კაცების პრევალენტობა მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ქალების (51.5% და 6% შესაბამისად) და კაცები თითქმის ექვსჯერ უფრო ხშირად (29% და 5% შესაბამისად) უთითებენ ძლიერი ეპიზოდური სმის შესახებ ბოლო 30 დღის განმავლობაში [4,11]. ჩვენს ქვეყანაში ქცევითი ფაქტორების თვალსაზრისით არსებული აღნიშნული სხვაობა სავარაუდოდ დიდ როლს თამაშობს კუჭის კიბოს სქესობრივ თავისებურებებში. აღნიშნულის გათვალისწინებით და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქვეყანაში სქესზე მორგებული პირველადი პრევენციის, კერძოდ, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Arnold M, Abnet CC, Neale RE, Vignat J, Giovannucci EL, McGlynn KA, Bray F. Global Burden of 5 Major Types of Gastrointestinal Cancer. *Gastroenterology*. 2020 Jul;159(1):335-349.e15. doi: 10.1053/j.gastro.2020.02.068
2. Grad C, Grad S, Fărcaș RA, Popa S, Dumitrașcu DL. Changing trends in the epidemiology of gastric cancer. *Med Pharm Rep*. 2023 Jul;96(3):229-234. doi: 10.15386/mpr-2538
3. Ilic M, Ilic I. Epidemiology of stomach cancer. *World J Gastroenterol*. 2022 Mar 28;28(12):1187-1203. doi: 10.3748/wjg.v28.i12.1187
4. Kilian C, Neufeld M, Manthey J et al. Self-reported changes in alcohol and tobacco use during COVID-19: findings from the eastern part of WHO European Region. *Eur J Public Health*. 2022 Jun 1;32(3):474-480. doi: 10.1093/eurpub/ckac011. PMID: 35137046; PMCID: PMC9159328.

5. Li H, Wei Z, Wang C, Chen W, He Y, Zhang C. Gender Differences in Gastric Cancer Survival: 99,922 Cases Based on the SEER Database. *J Gastrointest Surg.* 2020 Aug;24(8):1747-1757. doi: 10.1007/s11605-019-04304-y. Epub 2019 Jul 25. PMID: 31346960.
6. Li WY, Han Y, Xu HM, Wang ZN, Xu YY, Song YX, Xu H, Yin SC, Liu XY, Miao ZF. Smoking status and subsequent gastric cancer risk in men compared with women: a meta-analysis of prospective observational studies. *BMC Cancer* 2019; 19: 377. PMID: 31014273 DOI: 10.1186/s12885-019-5601-9.
7. Milano AF. 20-Year Comparative Survival and Mortality of Cancer of the Stomach by Age, Sex, Race, Stage, Grade, Cohort Entry Time-Period, Disease Duration & Selected ICD-O-3 Oncologic Phenotypes: *A Systematic Review of 157,258 Cases for Diagnosis Years 1973-2014: (SEER*Stat 8.3.4).* *J Insur Med.* 2019; 48 (1): 5-23. doi: 10.17849/inm-48-1-1-19.1
8. Morgan E, Arnold M, Camargo MC, et al. The current and future incidence and mortality of gastric cancer in 185 countries, 2020-40: A population-based modeling study. *EClinicalMedicine.* 2022 Apr 21;47:101404. doi: 10.1016/j.eclinm.2022.101404
9. Shin WS, Xie F, Chen B, Yu P, Yu J, To KF, Kang W. Updated Epidemiology of Gastric Cancer in Asia: Decreased Incidence but Still a Big Challenge. *Cancers (Basel).* 2023 May 6;15(9):2639. doi: 10.3390/cancers15092639
10. Song Y, Liu X, Cheng W, Li H, Zhang D. The global, regional, and national burden of stomach cancer and its attributable risk factors from 1990 to 2019. *Sci Rep.* 2022 Jul7;12(1):11542. doi: 10.1038/s41598-022-15839-7
11. Theilmann M, Lemp JM, Winkler V et al. Patterns of tobacco use in low and middle-income countries by tobacco product and sociodemographic characteristics: nationally representative survey data from 82 countries. *BMJ.* 2022 Aug 30;378: e067582. doi: 10.1136/bmj-2021-067582. PMID: 36041745.

საბა უიუილაშვილი ¹, ნანა მეზონია ², ირაკლი მჭედლიძე ¹,
ანა უიუილაშვილი ¹, თინათინ გაბრიჩიძე ¹

კუჭის კიბოს ავადობის სქესობრივი თავისებურებები საქართველოში, 2015-2022

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ²დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო

რეზიუმე

კვლევის მიზანს შეადგენდა ინვაზიური კუჭის კიბოს ავადობისა და სიკვდილიანობის სქესობრივი თავისებურებების შეფასება 2015-2022 წლებში საქართველოში დიაგნოსტიკურ პაციენტებში. ჩატარდა კიბოს პოპულაციურ რეგისტრზე დაფუძნებული კვლევა. 2015 – 2022 წლებში საქართველოში კუჭის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი (ASIR) კაცებში შემცირდა 12.0-დან 11.5-მდე, ხოლო ქალებში - 5.9-დან 4.3-მდე. ამასთან, ანალიზში ჩართული ყველა კალენდარული წლის განმავლობაში ASIR კაცებში დაახლოებით ორჯერ მაღალი იყო, ვიდრე ქალებში. აღნიშნულ პერიოდში სიკვდილიანობის ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი კაცებში 10.5-დან 7.3-მდე შემცირდა, ქალებში კი - 5.8-დან 3.0-მდე. ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა სტაბილური კლების ტენდენცია არ გამოვლენილა დაკვირვების მთელ პერიოდში. უნივარიაციული კოქსის რეგრესიული მეთოდით დასტურდება, რომ კუჭის კიბოს დიაგნოზის მქონე კაცებში სიკვდილიანობის რისკი რამდენადმე მაღალია, ვიდრე ქალებში, თუმცა მულტივარიაციული ანალიზით არ დადასტურდა, რომ პაციენტის სქესი სიკვდილიანობის განმსაზღვრელ დამოუკიდებელ ფაქტორს წარმოადგენს. კუჭის კიბოს პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას მიზანშეწონილია სქესობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

